

დამტკიცებულია ცვლილებებით სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ  
(აკადემიური საბჭოს დადგენილება № 05/01- 351, 17.07.2017)

1. პროგრამის დასახელება - გეოგრაფია
2. მისანიჭიბელი კვალიფიკაცია - გეოგრაფიის ბაკალავრი
3. პროგრამის მოცულობა კრედიტებით – 240 კრედიტი (ECTS), ხანგრძლივობა – 8 სემესტრი, სემესტრში – 30 კრედიტი.
4. სწავლების ენა - ქართული
5. პროგრამის ხელმძღვანელი
  - *მელორ ალფენიძე* - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის, გეოგრაფიის მიმართულების პროფესორი
6. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა
  - სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი - ატესტატი და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები
  - საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები

## 7. პროგრამის მიზანი

**აქტუალობა** - ბუნების მთავარი კომპონენტებისა (ატმოსფერო, ლითოსფერო, ჰიდროსფერო, ბიოსფერო) და მათი შემადგენელი ელემენტების (ნიადაგი, რელიეფი, წყლები, ჰაერი, მცენარეულობა, ადამიანთა საზოგადოება) სისტემური აღქმა და ურთიერთობების შესახებ სწორი წარმოდგენის მიღება - გეოგრაფიის ერთ-ერთი მთავარი საკითხია. ამ შინაარსის ცოდნის მიღება ადამიანი-ბუნების ურთიერთობაში ჰარმონიის მიღწევას ემსახურება, რომლის აქტუალობა ქვეყნის კონსტიტუციაშია (მუხლი 37) დაფიქსირებული. თავის მხრივ, ბუნებრივი გარემო ადამიანის საარსებო სისტემას წარმოადგენს, რომელიც თანამედროვე და მომავალი თაობებისთვისაა განკუთვნილი. ბუნების შენარჩუნება კი საზოგადოების არაგონივრულ სამეურნეო საქმიანობას უკავშირდება და ნეგატიური დატვირთვებით ხასიათდება. დაზიანებული გარემო კი დიდ საფრთხეს ჰქმნის.

აქედან გამომდინარე, მომავალი გეოგრაფოსების აღზრდასა და ჩამოყალიბებაში მოიაზრება როგორც ბუნებრივი გარემოს კომპონენტების, ისე ერთიანი და მთლიანი კომპლექსის სისტემური შესწავლა, რაც გარემოს დაცვისა და შენარჩუნების გათავისებებს განსაზღვრავს. იზრდება კიდევაც გარემოს უსაფრთხოების, სტიქიის თავიდან აცილების, გონივრული საქმიანობის უნარ-ჩვევების გამომუშავებისა და პრაქტიკაში დანერგვის მოთხოვნები. ისინი უშუალო კავშირშია ბუნება-საზოგადოების ურთიერთობის შესახებ ცოდნის მიღებასთან. გეოგრაფიის საგანმანათლებლო პროგრამაც ასეთი კადრების დეფიციტის შევსებას ემსახურება.

საქართველოს ეროვნული ინტერესების, ქვეყნის გარემოსდაცვითი და ბუნებრივი გარემოს მდგომარეობის შესახებ განათლების მიღების, **სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიის გათვალისწინებით**, გეოგრაფიის საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია აღზარდოს:

- საზოგადოების თანამედროვე ეტაპის მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, ცვალებადპროფესიულ გარემოსთან ადაპტირებადი სპეციალისტი, რომელიც შეიძენს მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და აქტივობის, ჰუმანიზმის, დემოკრატიის, ლიბერალური ღირებულების პრინციპებს, ჩამოყალიბდება როგორც თავისუფალი იდეების მატარებელი პიროვნება;
- მოსახლეობის კეთილდღეობის, ეკონომიკური ძლიერების, თავდაცვისუნარიანობის, დემოკრატიული პრინციპების დაფუძნებისა და სულიერების ამაღლების მიზნებით შეიარაღებული ადამიანი, რომელსაც ექნება (თავის დარგში) გამოყენებითი ხასიათის სამუშაოთა ჩატარების განხორციელების შესაძლებლობა და დაინტერესება;
- უახლეს მეცნიერულ იდეებზე დამყარებული და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საუნივერსიტეტო გეოგრაფიული განათლების - თანამედროვე საზოგადოებაში ინტეგრაციის მაღალზნეობრივი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მქონე სპეციალისტი.

აღნიშნული მისიის მისაღწევად, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნებიდან გამომდინარე, საბაკალავრო პროგრამა მოწოდებულია აღზარდოს გეოგრაფიული ცოდნით აღჭურვილი ბაკალავრი-სპეციალისტები, რომლებსაც ჩამოყალიბებული აქვთ:

- ჭეშმარიტი მოქალაქეობრივი დანიშნულება, ქართული ეროვნული კულტურისა და უნიკალური ტრადიციების, ასევე მორალურ-ზნეობრივი კატეგორიებისა და ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის გათავისება-დაცვა;
- ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის, პიროვნული პოტენციალის რეალიზების, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარების, შრომის ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრის შესაბამისი განათლება და უნარები, ცოდნის მუდმივი გაღრმავებისა და უცხოური გამოცდილების გაზიარების მოთხოვნილება.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის გეოგრაფიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს სასწავლო და პრაქტიკულ საქმიანობაზე ორიენტირებული განათლების მიღებას. კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს საგანმანათლებლო, ბუნებითსარგებლობის, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების გონივრული ათვისების სამთავრობო და არასათავრობო დაწესებულებებში. ბაკალავრი შეძლებს სწავლის გაგრძელებას მაგისტრატურაში შესაბამისი მიმართულებით.

**საბაკალავრო პროგრამის მიზანს წარმოადგენს:**

- გეოგრაფიული მეცნიერების თანამედროვე ზოგადი ინფორმაციის გაცნობა;
- ბუნებრივი პროცესების პარამეტრების გაზომვის იარაღების მუშაობის პრინციპების ათვისება;
- გარემოს ბუნებრივ-ანთროპოგენური ცვლილებების შემჩნევა;
- ბუნებრივი რესურსების გონივრული ათვისების გაცნობიერება და ბუნებითსარგებლობის ძირითადი პრინციპების ათვისება;
- გარემოს რეგულირებისა და მართვის ღონისძიებების შემუშავებასა და დანერგვის პროცესში მონაწილეობის მიღება;
- გეოგრაფიული მეცნიერების ძირითადი დებულებების, ბუნების კომპონენტების ურთიერთობათა უმთავრესი კანონების შესწავლა, ბუნებრივი გარემოს შიდა კავშირების შეცნობა, გეოგრაფიის კვლევის ობიექტის - ლანდშაფტური (გეოგრაფიული) გარსის სისტემური ბუნების - სტრუქტურისა და დინამიკის ზოგადი გაცნობიერება;
- გარემოში პარამეტრების გაზომვებსა და სავსე დაკვირვებებში მონაწილეობის მიღება;
- გეოგრაფიის მთავარი დარგების (გეომორფოლოგია, მეტეოროლოგია, კლიმატოლოგია, ჰიდროლოგია) ძირითადი საფუძვლების შესწავლა;
- საქართველოსა და კავკასიის, ასევე მსოფლიოს ბუნების კომპლექსურ-გეოგრაფიული აღქმა;
- გარემოს მდგომარეობის შესახებ წერილობითი ანგარიშის შედგენასა და დარღვეული გარემოს დაცვის საშუალებათა გამონახვაში მონაწილეობის მიღება;
- ბუნებრივი გარემოს მდგომარეობის შესახებ სპეციალისტებთან ან/და არასპეციალისტებთან პოპულარული დონის კომუნიკაცია ქართულ და უცხოურ (სასურველია) ენებზე;
- ბუნებრივი გარემოს მდგომარეობის შესახებ არსებული მასალების ათვისებისა და საკუთარი სწავლის პროცესის მართვის შესაძლებლობა, შემდგომი სწავლის საჭიროების გაცნობიერება;
- გარემოს ანთროპოგენური გარდაქმნების, როგორც ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების ზოგადი აღქმა და კოლეგებთან კრიტიკული დამოკიდებულების საწყისი უნარების გამომუშავება;
- გარდაქმნილი გარემოს გონივრული ათვისების ღონისძიებების შემუშავებაში მონაწილეობა.

## 8. სწავლის შედეგი

- **ცოდნა და გაცნობიერება** – სფეროს ცოდნა, რომელიც მოიცავს ზოგადი პრინციპების კრიტიკულ გააზრებას. კერძოდ:
  - აქვს საბაზისო (ზოგადი) ცოდნა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, ასევე მათემატიკის, ინფორმატიკისა და ჰუმანურ-საზოგადოებრივ (აკადემიური წერა) დისციპლინებში;
  - მიღებული აქვს ცოდნა უცხოურ (ინგლისური) ენაში და შეუძლია მისი ინტეგრირება სპეციალობის საგნების დაუფლებასა და საქმიანობის საქმეში;
  - აქვს ზოგადი ცოდნა გეოგრაფიული მეცნიერების თანამედროვე დიფერენციაციის შესახებ;
  - შეუძლია გააცნობიეროს გეოგრაფიული მეცნიერების ზოგადი თეორიული შეხედულებები;
  - გააჩნია ზოგადი ცოდნა ლანდშაფტური (გეოგრაფიული) გარსის კომპონენტების (ატმოსფერო, ჰიდროსფერო, ლითოსფერო, ბიოსფერო) გეოგრაფიული ნიშნების შესახებ;
  - შეუძლია (ხელმძღვანელის დახმარებით) მონაწილეობა ტოპოგრაფიული აგეგმვების ჩატარებასა და ტერიტორიის აგეგმვის ჩატარებაში;
  - გაცნობიერებული აქვს შეძენილი ცოდნის გამოყენება ბუნებრივი გარემოს ათვისებისა და დაცვის გონივრული ღონისძიებების შემუშავების მიზნით;
  - გაცნობიერებული აქვს რელიეფის ფორმების ანთროპოგენური გარდაქმნის ასპექტები და გონივრული ათვისების აუცილებლობა;
  - აცნობიერებს რეგიონების საერთო და განმასხვავებელ გეოგრაფიულ (ზონალურობა და აზონალურობა) ნიშნებს;
  - აქვს მარტივი წარმოდგენა პლანეტის გეოლოგიური ისტორიისა და პალეოგეოგრაფიის შესახებ, აცნობიერებს ბუნების შემდგომი განვითარების (პროგნოზი) ზოგად ტენდენციას;
  - აცნობიერებს საქართველოს რეკრეაციულ-ტურისტული პოტენციალის ათვისებისა და გონივრული სარგებლობის ზოგად პრინციპებს;
  - გაცნობიერებული აქვს გეოგრაფიული მეცნიერების ცოდნის გაღრმავების აუცილებლობა და პროფესიული პასუხისმგებლობა;
  - გაცნობიერებული აქვს გარემოს ათვისების სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური სისტემური მიდგომები.
- **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები** – გეოგრაფიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების მიზნით კურსდამთავრებული უზრუნველყოფილია: წინასწარ განსაზღვრული მითითებებისა და ხელმძღვანელობის პირობებში, ამა თუ იმ პრობლემის გადასაჭრელად გეოგრაფიული მიდგომების გამოყენების შესაძლებლობით, ასევე თეორიული ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელებაში აქტიური მონაწილეობის უნარებით.

კერძოდ შეუძლია:

  - მონაწილეობა საველე-პრაქტიკულ სამუშაოთა წარმართვის მოსამზადებელ ეტაპზე;
  - სამუშაო გეგმის შედგენასა და პრიორიტეტების განსაზღვრაში, სამუშაო იარაღების, ხელსაწყო-ინსტრუმენტების დაკომპლექტებაში მონაწილეობის მიღება;

- აქტიური მონაწილეობა ბუნებრივი გარემოს კომპონენტების რაოდენობრივი ცვლილებების განსაზღვრაში, მიღებული მონაცემების შეფასებასა და გარემოს გარდაქმნის შედეგების დადგენაში;
- სპეციალისტის მითითებების საფუძველზე მიიღოს მონაწილეობა მეწყერების, კლდეზვავების, ქარიშხლის, წყალმოვარდნის, ღვარცოფის გამოვლინების შესახებ და მოახდინოს დროული შეტყობინების ამოქმედება;
- ხელმძღვანელობის პირობებში, მონაწილეობის მიღება ექსტრემალური (წყალმოვარდნები, შტორმები) მოვლენების ფიქსირებასა და მოსალოდნელი ცვლილებების თავიდან აცილებაში.

➤ **დასკვნის უნარი** - მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების მინიმალური ზედამხედველობის საფუძველზე გარემოს ელემენტების შესახებ განმარტების ჩამოყალიბება, განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი, სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება.

კერძოდ, **შეუძლია მონაწილეობა:**

- ველზე მიღებული ინფორმაციის მოპოვების, ანალიზისა და სტიქიური მოვლენების (კლდეზვავი, ღვარცოფი, დეფლაცია, გაბინძურება) თავიდან აცილების პრევენციების შემუშავებაში;
- გარემოს ნეგატიური მდგომარეობის შესახებ ზოგადი განმარტებების მიცემასა და ზოგადი ხასიათის პრაქტიკული დასკვნების გამოტანაში;
- განყენებული მონაცემების (რაიმე მოვლენის განვითარების თეორიული ცოდნა) მიხედვით გარემოს მოსალოდნელი ადგილობრივი გარდაქმნის შესახებ ზოგადი დასკვნების ჩამოყალიბებაში;
- ბუნების დაცვის მარტივი ღონიძიებების შემუშავების პროცესში;
- დარღვეული ბუნების ობიექტების მდგომარეობის ხარისხის დადგენაში, მისი მოგვარების გზების ძიებაში;
- გარემოს მოსარგებლე ორგანიზაციებისთვის რეკომენდაციის შემუშავებაში;
- სავსე სამუშაოს შესრულებაში თანამდებობის (კოლექტორი ან ტექნიკოსი) დაკავება და შესაბამისი საქმიანობის შესრულება.

➤ **კომუნიკაციის უნარი** - იდეების, არსებული პრობლემების გადაჭრის გზების შესახებ წერილობითი ანგარიშის მომზადებაში მონაწილეობა, სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ინფორმაციის მომზადებასა და ზეპირად გადაცემაში (ქართულ და უცხო-ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ ან რუსულ ენებზე) მონაწილეობის მიღება, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (JPS) შემოქმედებითად გამოყენება, კერძოდ:

**აქვს** - ბუნებრივი გარემოს რაციონალური ათვისების გეოგრაფიული შინაარსის იდეების შესახებ წერილობითი ანგარიშის მომზადებაში მონაწილეობისა და მარტივი კომუნიკაციის უნარები; **შეუძლია** - ბუნების სტიქიურ-დამანგრეველი პროცესებისა (მიწისძვრა, ცუნამი, ვულკანი, ქარბორბალა, კლდეზვავი და სხვ) და მათი შედეგების თავიდან აცილების გზების შესახებ წერილობითი ანგარიშის მომზადებაში მონაწილეობა;

- დარგის სპეციალისტებთან, ისევე არასპეციალისტებთან (პოპულარულ ენაზე) ზეპირი ინფორმაციის გადაცემა;
- ბუნებრივი გარემოს მდგომარეობის შესახებ ანგარიშის შედგენაში მონაწილეობა.

➤ **სწავლის უნარი** - საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა. კერძოდ **შეუძლია** გეოგრაფიული შინაარსის მასალების ათვისება და საკუთარი სწავლის პროცესის მართვა, თანმიმდევრული

(ჯერ მეცნიერებების ზოგადი, შემდგომ კერძო ან რეგიონული ნაწილების ათვისება) და მრავალმხრივი ცოდნის მიღების (ეკოლოგიაში, პალეოგეოგრაფიაში, საინჟინრო გეოლოგიაში, ოკეანოლოგიასა და სხვ) უნარი და შემდგომი სწავლის (კონსტრუქციული გეოგრაფია და გარემოს დაცვა) საჭიროების განსაზღვრა.

➤ **ღირებულებები** - მონაწილეობს ღირებულებების ფორმირების პროცესში, ისწრაფვის მათ დასამკვიდრებლად. **კერძოდ:**

**გამომუშავებული აქვს -**

- ეთიკის ზოგადი ნორმები: ველზე მუშაობის საქმიანი ურთიერთობები, საზოგადოებრივ წრეში პროფესიის წარმომადგენელთა შორის პატივისცემა, საკუთარი აზრის გადმოცემისა და განსხვავებული აზრის მოსმენის უნარი, თვითკრიტიკა და პროფესიული კრიტიკა, ყოფაქცევა;
- ბუნების ანთროპოგენური გარდაქმნის, როგორც ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების ზოგადი აღქმისა და კოლეგების მიერ ამ პრობლემების მიმართ კრიტიკული დამოკიდებულების შეფასების ზოგადი და საწყისი უნარები;
- კოლექტიურ საქმიანობაში (გარემოს მდგომარეობის გამოვლენა, ბუნების დაცვა, რესურსების ათვისება) საკუთარი წვლილის შეტანისა და მათი დამკვიდრების უნარი;
- პროფესიული ღირებულებები: გააჩნია გარემოს მდგომარეობის, ასევე ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნების პასუხისმგებლობა და ბუნების დარღვეული პროცესების დაცვისა და რეგულირება-მართვისადმი სწრაფვა;

**შეუძლია -**

- ნეგატიურად გარდაქმნილი გარემოს გონივრული მართვისა და პროცესების რეგულირების პრინციპების პრაქტიკაში რეალიზაციის გააზრება;
- ახალი ღირებულებების შემუშავება-დამკვიდრება-დანერგვაში მონაწილეობა;

**გაცნობიერებული აქვს -**

ჯანსაღი ბუნების მნიშვნელობა ადამიანის ჯანმრთელობისათვის და ხელუხლებელი გარემოს მომავალი თაობებისათვის გადაცემის აუცილებლობა და მისი ხელშეწყობა.

## 9. საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა

№	სასწავლო კურსი/მოდული	კოდი	ECTS	საათების რაოდენობა		კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით								წინაპირობა
				საკონტაქტო	დამოუკიდებელი	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
<b>საფაკულტეტო სავალდებულო კურსები - 30 კრედიტი</b>														
	<b>უცხო ენა - 21 კრედიტი</b>					<b>6</b>	<b>6</b>	<b>6</b>	<b>3</b>					
ა)	<b>ინგლისური ენა - დამწყებთათვის</b> (მათთვის ვისაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკადემიურ პროგრამებზე ჩარიცხვისათვის სავალდებულო საგნად არჩეული ჰქონდა სხვა უცხო ენა შეუძლით აირჩიონ ინგლისური ენა - დამწყებთათვის)													
1.	<i>ინგლისური ენა I (Elementary A1)</i>	ENGL B 001	<b>6</b>	65	85	<b>6</b>								წინაპირობის გარეშე
2.	<i>ინგლისური ენა II (Pre-Intermediate A2)</i>	ENGL B 002	<b>6</b>	65	85		<b>6</b>							ENGL B 001
3.	<i>ინგლისური ენა III (Intermediate B 1)</i>	ENGL B 003	<b>6</b>	65	85			<b>6</b>						ENGL B 002
ბ)	<b>უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული) - არჩევით</b> (მათთვის ვისაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკადემიურ პროგრამებზე ჩარიცხვისათვის სავალდებულო საგნად არჩეული ჰქონდა ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა)													
1.	<i>უცხო ენა I - (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა) - B 1.2</i>	ENGL B 011 GERM B 011 FREN B 011 RUSS B 011	<b>6</b>	65	85	<b>6</b>								წინაპირობის გარეშე
2.	<i>უცხო ენა II - (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა) - B 2. 1</i>	ENGL B 012 GERM B 012 FREN B 012 RUSS B 012	<b>6</b>	65	85		<b>6</b>							ENGL B 011 GERM B 011 FREN B 011 RUSS B 011
3.	<i>უცხო ენა III - (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა) - B 2.2</i>	ENGL B 013 GERM B 013 FREN B 013 RUSS B 013	<b>6</b>	65	85			<b>6</b>						ENGL B 012 GERM B 012 FREN B 012 RUSS B 012
4.	<i>დარგობრივი უცხო ენა - (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა) (გეოგრაფია)</i>	ENGL B 028 GERM B 028 FREN B 028 RUSS B 028	<b>3</b>	35	40			<b>3</b>						ENGL B 003/ENGL B 013 GERM B 013 FREN B 013 RUSS B 013
5.	უმადლეის მათემატიკა - 1	MATH B151	<b>6</b>	65	85		<b>6</b>							წინაპირობის გარეშე

6.	საოფისე პროგრამები	COMP B 125	3	35	40		3							წინაპირობის გარეშე
<b>საფაკულტეტო კურსები - 24 კრედიტი</b>														
8.	ქიმიის შესავალი	CHEM B 101	6	65	85	6								წინაპირობის გარეშე
9.	ფიზიკის შესავალი	PHYS B 101	6	65	85	6								წინაპირობის გარეშე
10.	ბიოლოგიის შესავალი	BIOL B 101	6	65	85	6								წინაპირობის გარეშე
11.	გეოგრაფიის შესავალი	GE0GR B 101	6	65	85	6								წინაპირობის გარეშე
<b>ძირითადი (major) სპეციალობის სავალდებულო კურსები - 96 კრედიტი</b>														
1.	ზოგადი ფიზიკური გეოგრაფია	GE0GR B 102	6	65	85		6							GE0GR B 101
2.	ტოპოგრაფია და საველე აგეგმვები	GE0GR B 103	6	65	85		6							წინაპირობის გარეშე
3.	მეტეოროლოგია და ამინდის პროგნოზი	GE0GR B 104	6	65	85			6						GE0GR B 102
4.	ზოგადი და დინამიური გეომორფოლოგია	GE0GR B 105	6	65	85			6						GE0GR B 102
5.	ჰიდროლოგია და წყლის რესურსები	GE0GR B 106	6	65	85			6						GE0GR B 102
6.	კარტოგრაფია და გეოინფორმატიკა	GE0GR B 107	6	65	85			6						GE0GR B 102
7.	საზოგადოებრივი გეოგრაფია	GE0GR B 108	6	65	85								6	GE0GR B 101
8.	საქართველოს გეოგრაფია	GE0GR B 109	6	65	85					6				GE0GR B 102
9.	კლიმატოლოგია და ჰავის რესურსები	GE0GR B 110	6	65	85				6					GE0GR B 104
10.	მსოფლიოს ფიზიკური გეოგრაფია	GE0GR B 111	6	65	85						6			წინაპირობის გარეშე
11.	ბუნებათმცოდნეობის გეოგრაფია	GE0GR B 112	6	65	85						6			წინაპირობის გარეშე
12.	ბუნებრივი და ანთროპოგენური ლანდშაფტები	GE0GR B 113	6	65	85							6		წინაპირობის გარეშე
13.	შავი ზღვა: აბიოტური ფაქტორები	GE0GR B 114	6	65	85							6		GE0GR B 106
14.	კავკასიის ფიზიკური გეოგრაფია	GE0GR B 115	6	65	85								6	GE0GR B 102
15.	საველე კომპლექსური (პროფესიული) პრაქტიკა	GE0GR B 116	6	105	45				6					წინაპირობის გარეშე
16.	<b>საბაკალავრო ნაშრომი</b>	GE0GR B 130	6	35	115								6	პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები
<b>ძირითადი (major) სპეციალობის არჩევითი კურსები - 21 კრედიტი</b>														
სტუდენტი ირჩევს სასწავლო კურსებს შემსტრებში მითითებული კრედიტების შესაბამისად								3		3	12		3	
1	ნიადაგმცოდნეობა და მიწის რესურსები	GE0GR B 117	6	65	85					6				GE0GR B 102
	ბიოგეოგრაფია	GE0GR B 118	6	65	85					6				GE0GR B 102
	ზოგადი და ისტორიული	GE0GR B 119	3	35	40		3							GE0GR B 101





## 10. დამატებითი (minor) პროგრამა - გეოგრაფია

- პროგრამის სახელწოდება - გეოგრაფია
- პროგრამის მოცულობა კრედიტებით – 60 კრედიტი (ECTS), მათ შორის:
  - ❖ დამატებითი (*Minor*) სპეციალობის სავალდებულო კურსები - 48
  - ❖ დამატებითი (*Minor*) სპეციალობის არჩევითი კურსები - 12

ხანგრძლივობა – 5 (IV-VIII სემესტრი), სემესტრში – 12 კრედიტი.
- სწავლების ენა - ქართული
- პროგრამის ხელმძღვანელი
  - *მელორ ალფენიძე*- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სრული პროფესორი
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

პროგრამაზე დაიშვებიან სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნებისმიერი საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები, რომელთა სასწავლო გეგმაც ითვალისწინებს დამატებით (minor) პროგრამას.
- პროგრამის მიზანი

თეორიული და პრაქტიკული განათლების მიცემა გეოგრაფიის საბაზო საგნებში - ზოგად ფიზიკურ გეოგრაფიაში, ტოპოგრაფიასა და კარტოგრაფიაში, ჰიდროლოგიაში, მეტეოროლოგიასა და კლიმატოლოგიაში, ზოგად გეომორფოლოგიაში, კარტოგრაფიასა და გეოინფორმატიკის ზოგად საფუძვლებში, ასევე ნიადაგების გეოგრაფიასა და ტურიზმის მნიშვნელოვან საკითხებში, ჰავის, მიწისა და წყლების რესურსების, ამინდის პროგნოზისა და გეოგრაფიული გარსის შემსწავლელ დისციპლინების სფეროში; გეოგრაფიის სავალდებულო

სტაციონარული - ბუნებაში დაკვირვებებისა და ექსპერიმენტების ჩატარების მეთოდების დაუფლებაში; გარემოს გეოგრაფიული პროცესების მიმდინარეობის მექანიზმების აღქმაში, ასევე მათი რეგულირებისა და მართვის ძირითადი საფუძვლების შესწავლაში, შესაბამისი პროფილით დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავებაში.

- **სწავლის შედეგები**

- **ცოდნა და გაცნობიერება** - სფეროს ცოდნა, რომელიც მოიცავს ზოგადი პრინციპების გააზრებას. კერძოდ:
  - აქვს ზოგადი ცოდნა გეოგრაფიული მეცნიერების დიფერენციაციის შესახებ და შეუძლია გააცნობიეროს გეოგრაფიული მეცნიერების ზოგადი შეხედულებები;
  - გააჩნია ზოგადი ცოდნა ატმოსფეროს, ჰიდროსფეროს, ლითოსფეროს, ბიოსფეროს გეოგრაფიული ნიშნების შესახებ;
  - შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ტოპოგრაფიულ აგეგმვებში;
  - შეუძლია მონაწილეობა მიიღოს გარემოს ათვისებისა და დაცვის ღონისძიებების შემუშავებაში;
  - შეუძლია გააცნობიეროს ანთროპოგენური გარდაქმნის ასპექტები, გარემოს ტურისტული მიზნით ათვისებისა და გონივრული სარგებლობის ზოგადი პრინციპები, გარემოს ათვისების ეკოლოგიური მიდგომები.
- **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები** - მიღებული ცოდნის შედეგად კურსდამთავრებულს შეუძლია:
  - მონაწილეობა ბუნებრივი გარემოს კომპონენტების რაოდენობრივი ცვლილებების განსაზღვრაში;
  - სპეციალისტის მითითებების საფუძველზე მიიღოს მონაწილეობა წყალმომარაგების, შტორმების, მეწყერების, კლდეზავების, ქარიშხლის, წყალმომარაგების, ღვარცოფის გამოვლინებაში, მათ დაფიქსირებასა და მოსახლეობის დროულ შეტყობინებაში.
- **დასკვნის უნარი** - კვალიფიცირებული სპეციალისტების ზედამხედველობის საფუძველზე გარემოს ელემენტების შესახებ განმარტების ჩამოყალიბებასა და დასკვნის ჩამოყალიბებაში *შეუძლია მონაწილეობა*:
  - სპეციალისტებთან ერთად სტიქიური მოვლენების შედეგების თავიდან აცილების პრევენციების შემუშავებაში;
  - გარემოს გარდაქმნისა და ბუნების დაცვის მარტივი ღონისძიებების შემუშავების შესახებ ზოგადი დასკვნების ჩამოყალიბებაში.
- **კომუნიკაციის უნარი** - მიიღოს მონაწილეობა გარემოს პრობლემების გადაჭრის გზების შესახებ წერილობითი ანგარიშის მომზადებაში, ინფორმაციის ზეპირად გადაცემაში, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებაში.
  - აქვს გარემოს რაციონალური ათვისების შესახებ წერილობითი ანგარიშის მომზადებაში მონაწილეობის უნარი.
  - შეუძლია ბუნების სტიქიურ-დამანგრეველი პროცესების (მიწისძვრა, ცუნამი, ვულკანი, ქარბორბალა, კლდეზავი და სხვ) აღქმის უნარი და მათი შედეგების თავიდან აცილების შესახებ წერილობითი ანგარიშის მომზადებაში მონაწილეობის უნარი.
- **სწავლის უნარი** - საკუთარი სწავლის პროცესის შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა. კერძოდ შეუძლია: გარემოს მართვისა და პროცესების რეგულირების პრინციპების პრაქტიკაში რეალიზაციის გააზრება;
- **ღირებულებები** - მონაწილეობს ღირებულებების ფორმირების პროცესში, ისწრაფვის მათ დასამკვიდრებლად. კერძოდ:  
*გაცნობიერებული აქვს* - ჯანსაღი ბუნების მნიშვნელობა ადამიანის ჯანმრთელობისათვის და გარემოს მომავალი თაობებისათვის გადაცემის ხელშეწყობა.

• დამატებითი (minor) პროგრამის სტრუქტურა

№	სასწავლო კურსი/მოდული	ECTS	საათების რაოდენობა		კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით								წინაპირობა
			საკონტაქტო	დამოუკიდებელი	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
<b>სავალდებულო კურსები - 48 კრედიტი</b>													
1.	ზოგადი ფიზიკური გეოგრაფია	6	65	80				6					წინაპირობის გარეშე
2.	საქართველოს გეოგრაფია	6	65	80				6					წინაპირობის გარეშე
3.	საზოგადოებრივი გეოგრაფია	6	65	80								6	წინაპირობის გარეშე
4.	ჰიდროლოგია და წყლის რესურსები	6	65	80					6				ზოგადი ფიზიკური გეოგრაფია
5.	მეტეოროლოგია და ამინდის პროგნოზი	6	65	80					6				ზოგადი ფიზიკური გეოგრაფია
6.	ზოგადი და დინამიური გეომორფოლოგია	6	65	80						6			ზოგადი ფიზიკური გეოგრაფია
7.	მსოფლიოს ფიზიკურინგეოგრაფია	6	65	80								6	ტოპოგრაფია და სავლე აგეგმვები
8.	კლიმატოლოგია და ჰავის რესურსები	6	65	80								6	მეტეოროლოგია და ამინდის პროგნოზი
<b>არჩევითი კურსები - 12 კრედიტი</b>													
1.	ნიადაგმცოდნეობა და მიწის რესურსები	6	65	80								6	ზოგადი ფიზიკური გეოგრაფია
2.	ბიოგეოგრაფია	6	65	80									ზოგადი ფიზიკური გეოგრაფია
3.	მსოფლიოს ტურისტული ცენტრების გეოგრაფია	6	65	80									წინაპირობის გარეშე
4.	რეკრეაცია და ტურიზმი	6	65	80									საზოგადოებრივი გეოგრაფია
5.	ტოპოგრაფია და სავლე აგეგმვები	6	65	80									წინაპირობის გარეშე
6.	კარტოგრაფია და გეოინფორმატიკა	6	65	80									ზოგადი ფიზიკური გეოგრაფია
<b>ს უ ლ - 60 კრედიტი</b>								12	12	12	12	12	